შეფასებისა და ქულების მინიჭების სახელმძღვანელო

ამ კატეგორიაში წარდგენილი ანგარიში ან ვებგვერდი შეფასდება შემდეგი 4 კრიტერიუმის მიხედვით: სისრულე; სანდოობა; გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება; კომუნიკაცია. **თითოეულ კრიტერიუმში ჟიურის წევრებს შეუძლიათ მიანიჭონ მაქსიმუმ 25 ქულა.**

შეფასების კრიტერიუმი	რაზე გაამახვილებენ ყურადღებას ჟიურის წევრები	შეფასების დიაპაზონი
1. **სისრულე**	ანგარიში/ვებგვერდი საზოგადოებას აწვდის სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას კომპანიის სოციალური და გარემოზე მოხდენილი ზეგავლენების შესახებ, საკუთარი CSR-პოლიტიკის/სტრატეგიის და მართვის სისტემების, განხორციელებული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ანგარიში/ვებგვერდი წარმოადგენს ინფორმაციას დაინტერესებული მხარეების და მათი ჩართულობის შესახებ, ასევე არსებითი საკითხებისა და მათი განსაზღვრის პროცესის შესახებ.	0-25 ქულა
2. **სანდოობა**	ანგარიშში/ვებგვერდზე კომპანიის განხორციელებული საქმიანობა და შედეგები ნათლად და გარკვევით არის წარმოდგენილი, გამყარებულია კონკრეტული ფაქტებით, ციფრებით და მონაცემებით, დაინტერესებულ მხარეთა შეფასებებით. ანგარიშის შეფასებისას ყურადღება მიექცევა ასევე აქვს თუ არა ანგარიშს დამოუკიდებელი გარე აუდიტის დასკვნა.	0-25 ქულა
3. გამჭვირვალობა და კეთილსინდისიერება	ანგარიში/ვებგვერდი დაბალანსებულად წარმოადგენს როგორც დადებით, ისე უარყოფით ზეგავლენებსა და შედეგებს, ნათლად და კეთილსინდისიერად არის აღწერილი როგორც წარმატება, ისე გამოწვევები და ნაკლოვანებები.	0-25 ქულა
4. **კომუნიკაცია**	კომუნიკაციის ფორმა და მანერა შერჩეულია სამიზნე აუდიტორიისა და დაინტერესებული მხარეების შესაფერისად. ანგარიში/ვებგვერდი ადვილად გამოსაყენებელია და მკითხველისთვის არის საინტერესო და ინფორმაციული; მისი სტრუქტურა არის გასაგები და ლოგიკური, დიზაინი და ვიზუალური მხარე - მიმზიდველი.	0-25 ქულა

ქულების მინიჭების სახელმძღვანელო პრინციპები			
0-6 ქულა:	ძალიან სუსტი ყველა თვალსაზრისით	13-19 ქულა	საკმაოდ კარგი
7-12 ქულა:	საშუალო	20-25 ქულა	გამორჩეულად კარგი ყველა თვალსაზრისით